07/08/2026

MES 5 26 0001026120

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 24 ივლისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
ანაროშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ეკატერინეგიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი);
დავითჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი;

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ქეთევან ბოტკოველი
მზია ბაკურიძე
ვალერი ჯაჯანიძე
ნინო მაზმიშვილი
გვანცა პაკატილოვი
მიმოზა ღოლიჯაშვილი
დავით კუპატაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი
დირექტორი - სულხან სულხანიშვილი

შპს თავისუფალი ხედვის აკადემია
დირექტორი - იოსებ აბესაძე
დირექტორის მოადგილე - თამარ კურტანიძე
ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი - ნინო ვასაძე

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი
დირექტორი - დავით მაზმიშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ილონა ჩუხუა

შპს ენ დი აკადემია
დირექტორი - ნათელა დოლიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო თამაზაშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს უსაფრთხოებისაკადემიის სასწავლო ცენტრისთვისპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ენერგომენეჯმენტი" , "განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი", "ადმინისტრაციული სერვისები" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ენ დი აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, 2026 წლის 29 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში „შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის" მიერ ოფიციალური წერილით შემოვიდა ინფორმაცია, რომ კოლეჯი წყვეტს საგანმანათლებლო საქმიანობას პირველი ივლისიდან და სტუდენტთა მობილობის თვალსაზრისით, რაიმე შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, სურთ კოლეჯის გაუქმება.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გიგაშვილი, დაინტერესდა, არიან თუ არა ამჟამად ჩარიცხული სტუდენტები კოლეჯში, რათა საბჭოს გადაწყვეტილებამ ნეგატიურად არ იმოქმედოს მათ ინტერესებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა რომ მოკლევადიანი პროგრამები უკვე დასრულებულია, ხოლო სამ აქტიურ პროგრამაზე („კომპიუტერული ქსელი და სისტემები", „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება" და „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი") ჰყავთ სტუდენტები და მათი ინტერესების დასაცავად, კოლეჯის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, მიმართეს კოლეჯებს, რომელთანაც მემორანდუმი აქვთ გაფორმებული, თუმცა, რადგან კვოტის მიღმა ხდება სტუდენტთა გადაყვანა, კოლეჯებისაგან უარი მიიღეს, სტუდენტებმა რომ სასწავლო პროცესის დასრულება შეძლონ, კოლეჯის გაუქმება არის საჭირო, რაც საფუძველი გახდება სხვა კოლეჯებისათვის კვოტის ზემოთ ჩარიცხვის განხორციელების.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის" მე-2 მუხლის შესაბამისად, თუ დაწესებულებამ დაკარგა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან პროგრამის განხორციელების უფლება, მისი პროფესიული სტუდენტები ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევიან სტატუსშეჩერებულ პირებად. პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ მობილობით სარგებლობა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში და ასეთი სტუდენტების მობილობისას მიმღებ დაწესებულებას შეუძლია შესაბამის პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას გადააჭარბოს არაუმეტეს 25%-ით. კვოტის ზემოთ ჩარიცხულთა რაოდენობა გამოაკლდება პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის განსაზღვრულ ადგილებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 405318570) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა გოგიტა მშვენიერაძემ.

პირველი საკითხი: შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, განაცხადა, რომ ჰქონდა თვითაცილება განსახილველი საკითთან მიმართებით, ხოლო საბჭოს სხდომას წარუძღვებოდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ხათუნა ჩხარტიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 16 ივნისის MES 5 26 0000719744 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია (სააფთიაქო)"“ – დამატებასთან დაკავშირებით შესაბამისობის შეფასება. შეფასება განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. აღნიშნული მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიაში“ 2026 წლის 23 ივნისს, მისამართზე: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. No50. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალები. ასევე გაიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, რომლის ფარგლებში განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები და შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგი გადაეგზავნა დაწესებულებას და მის შესაბამისად განხორციელდა ვიზიტი.

გეგმის მიხედვით, გაიმართა შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ამასთან, განხორციელდა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა-შეფასება. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობისა და კეთილგანწყობის გარემოში - დაწესებულებამ სრულად შეუწყო ხელი ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. ვიზიტის დასკვნით ეტაპზე, შედეგების პრეზენტაციისას, დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია ექსპერტების დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების საფუძველზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებების შესახებ.

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა.

აკადემიის დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის N2/16 ბრძანებით დამტკიცებულია ,,უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები“. კოლეჯში დანერგილია უსაფრთხოების მართვის კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ადამიანურ რესურსებს, კერძოდ, შრომის უსაფრთხოების მენეჯერს, დარაჯს და კონტრაქტორ პროვაიდერს, შპს ვიქტორია სექიურითს, ისე ტექნიკურ საშუალებებს: ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარსა და საევაკუაციო გეგმებს. დაწესებულება ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს, რეგულარულ ინსტრუქტაჟებს, ევაკუაციის სავარჯიშოებსა და სისტემების ტექნიკურ ინსპექტირებას, რაც უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას ნებისმიერ ინციდენტზე. პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის

გადანაწილებული ადმინისტრაციულ პერსონალსა და შესაბამის მენეჯერებს შორის, ხოლო წესრიგის დარღვევის ან უსაფრთხოების საფრთხის შემთხვევაში, მოქმედებს ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი და 112-თან თანამშრომლობის დადგენილი პროტოკოლი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა დაკორექტირებული შესაბამისობის გეგმა სამეთვალყურეო სისტემებთან დაკავშირებით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სამეთვალყურეო სისტემის შესყიდვისა და მონტაჟის შესახებ, სამუშაოები დაწყებულია, გარე პერიმეტრზე ნაწილობრივ მოწყობილია სისტემა, ხოლო შიდა სივრცეში მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაოები. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფენ პროცედურების დასრულებას (23.08.2026).

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და სასწავლო რესურსებით, რომლებიც ინტეგრირებულია პროგრამის მოდულებში. რესურსების ჩამონათვალი თანხვედრაშია საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სარეკომენდაციო მოთხოვნებთან და ადასტურებს მათ რელევანტურობას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება მკაფიოდ არის განსაზღვრული აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და წარმოადგენს აკადემიის ხელმძღვანელის კომპეტენციას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დადგენილი პროცედურების სრული დაცვით, შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, სრულად ასახავს მის შინაარსსა და მიზნებს და არ შეიცავს შეცდომაში შემყვან ელემენტებს. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან, დაკავშირებულია ფარმაციის სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებსა და კომპეტენციებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკულ ორიენტაციას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესაბამისად.
პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია აკადემიის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანება პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრება 2024 წლის 15 აპრილის №01/11 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.
მეთოდოლოგია ეფუძნება მტკიცებულებებსა და მრავალფაქტორულ ანალიზს და ითვალისწინებს სასწავლო სივრცეებს, ადამიანურ რესურსებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობებს.
ასევე შეფასებულია აპლიკანტთა რაოდენობა, შრომის ბაზრის მოთხოვნები და დასაქმების მაჩვენებლები, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან დაგეგმვას.
პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, პრაქტიკის ბაზითა და ძლიერი დამსაქმებლის პარტნიორობით. - პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელდება თბილისში, თრიალეთის ქ. №50-ში. - აკადემიას გააჩნია შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურა – A, B და A/C ტიპის სასწავლო გარემოები, ლაბორატორია, იმიტირებული აფთიაქი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რაც სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას.
პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება სს „გეფას“ ბაზაზე, რომელთანაც აკადემიას გაფორმებული აქვს 2026 წლის 24 თებერვლის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს პროგრამის პრაქტიკული მოდულების განხორციელებას.

პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს 120 სტუდენტის პრაქტიკას ანაზღაურების გარეშე, ხოლო მხარდაჭერის წერილი და გასაუბრება ადასტურებს კომპანიის აქტიურ ჩართულობას პროგრამის განვითარებაში, შრომის ბაზრის მოთხოვნების გაზიარებასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობაში.
სს „გეფას“ 2026 წლის 29 მაისის მხარდაჭერის წერილი, ადასტურებს კომპანიის დაინტერესებას შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიასთან“ თანამშრომლობითა და ფარმაციის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებით.

აკადემია უზრუნველყოფს საინფორმაციო და სასწავლო რესურსებზე სრულფასოვან წვდომას. ბიბლიოთეკა მოიცავს ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მოდულებს. ყველა რეკომენდებული ელექტრონული მასალა ხელმისაწვდომია კომპიუტერულ ქსელსა და QR კოდების საშუალებით, რაც ხელს უწყობს თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებას. რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ბიბლიოთეკა აღჭურვილია 5 კომპიუტერითა და სამუშაო სივრცეებით.
პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 10 ზოგადი, ხოლო 23 – დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი.
ყველა პროფესიული მასწავლებელი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ფლობს შესაბამის განათლებას, პროფესიულ გამოცდილებასა და კვალიფიკაციას. პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები სრულყოფილად შეიცავს კვალიფიკაციისა და გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებს, ხოლო ყველა მათგანთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულება.
პროგრამის საკადრო რესურსი რაოდენობრივად და თვისობრივად სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და 120 პროფესიული სტუდენტის მომსახურების საჭიროებებს.
პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ შესაბამის დარგობრივ ცოდნას, პროფესიულ გამოცდილებასა და პროფესიულ-პედაგოგიურ კომპეტენციებს. მათ აქვთ სტუდენტზე ორიენტირებული, პრაქტიკული და მოდულებზე დაფუძნებული სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების უნარები, რაც ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
აკადემიაში შემუშავებულია პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს ტრენინგებს ხარისხის უზრუნველყოფის, შეფასების, პროფესიული სტანდარტების, სწავლების მეთოდებისა და შიდა რეგულაციების მიმართულებით. დაგეგმილი აქტივობები უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციების უწყვეტ განვითარებას და პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.
პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული პროფესიული სტანდარტის ანალიზში, პროგრამის კონცეფციისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში. ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების ყველა ძირითად ეტაპზე, მათ შორის პერსონალის შერჩევის, რესურსების დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. იგი უზრუნველყოფს დარგში მიმდინარე სიახლეებისა და ინოვაციების პროგრამაში ინტეგრირებას. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისა და სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისთვის.
აკადემიაში მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში სსსმ და შშმ სტუდენტებისთვის ხდება სასწავლო რესურსების, სწავლების მეთოდებისა და შეფასების ფორმების ადაპტირება. ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებლები, სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირები, თავად სტუდენტი

და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს თანასწორ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.
პროგრამისთვის შემუშავებულია დეტალური საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ შემოსავალსა და ხარჯს. •ბიუჯეტი ითვალისწინებს პერსონალის ანაზღაურებას, ადმინისტრირებას, სასწავლო რესურსებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და პრაქტიკული სწავლების ხარჯებს. • ჩატარებული ფინანსური ანალიზის საფუძველზე, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. • წარმოდგენილი ფინანსური გათვლები ადასტურებს, რომ აკადემიას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი პროგრამის ხარისხიანად და უწყვეტად განხორციელებისთვის.

პროგრამის შეფასების მექანიზმი აკადემიაში დანერგილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამების დაგეგმვას, შეფასებასა და უწყვეტ განვითარებას. პროგრამების შეფასება ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს. შეფასების პროცესში მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პარტნიორები და პროფესიული მასწავლებლები. მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისა და თანამედროვე პროფესიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შედეგების ანალიზი და გაუმჯობესება აკადემია პროგრამების ხარისხს აფასებს PDCA (დაგეგმვა–განხორციელება–შემოწმება–გაუმჯობესება) ციკლის საფუძველზე. პროგრამების მონიტორინგი ეფუძნება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და მასწავლებლების უკუკავშირს, ასევე კვლევებისა და სხვა მტკიცებულებების ანალიზს. შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება პროგრამების, მოდულების, შეფასების სისტემისა და სწავლების მეთოდების გაუმჯობესება.
პროგრამის განხორციელება პროგრამა განხორციელდება დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს ლოგიკურ თანმიმდევრობას, დაბალანსებულ დატვირთვასა და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ პროცესს. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი აკადემიაში შექმნილია მოქნილი სასწავლო პროცესის ორგანიზების მექანიზმები. უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, კონსულტირების, აკადემიური მხარდაჭერისა და სტუდენტთა უკუკავშირის სისტემები. სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სწავლების თანამედროვე მეთოდები პროგრამა ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ და პრაქტიკულ სწავლებას. გამოიყენება ინტერაქტიული სწავლება, ქეისების ანალიზი, სიმულაციები, პროექტები და პრაქტიკული აქტივობები. პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე მატერიალური, ტექნიკური და ციფრული რესურსებით.
უსაფრთხო სასწავლო გარემო აკადემიას გაფორმებული აქვს შრომის უსაფრთხოების მომსახურების ხელშეკრულება შესაბამის პროვაიდერთან. რეგულარულად ხორციელდება სამუშაო გარემოს მონიტორინგი, რისკების შეფასება და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები.
აკადემიაში მოქმედებს ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობისა და უსაფრთხოების წესები, რომლებიც არეგულირებს ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხო მუშაობას, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებასა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარე, ხათუნა ჩხარტიშვილი, დაინტერესდა, პარტნიორი ორგანიზაციის „გეფას“ მიერ უზრუნველყოფილი პრაქტიკის საკითხით, კერძოდ, რამდენად არიან

სტუდენტთა პრაქტიკაზე პასუხიმგებელნი დარგის სპეციალისტები და რამდენად გააჩნიათ მათ პედაგოგიური უნარები, რათა ხელი შეუწყონ სტუდენტთა ხარისხიან პრაქტიკას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ვასაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს სასარგებლო დასკვნისათვის და მხარდაჭერისთვის. მან აღნიშნა, რომ ხუთი თვის განმავლობაში მუშაობდნენ „გეფასთან“ ერთად პროგრამაზე, თავდაპირველად მოიკვლიეს ბაზარი და მოიძიეს პროვაიდერი ორგანიზაციები, პირველი კომუნიკაცია „გეფასთან“ ერთად ასევე დამყარდა პსპ-სა და ავერსის სააფთიაქო ქსელებთან, თუმცა თავად „გეფას“ სურდა რომ ექსკლუზიური უფლებამოსილებით შესულიყვნენ კოლეჯში და მათი მოთხოვნა იყო, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, აკადემიის კურსდამთავრებულები სრულად დაესაქმებინათ და გადანაწილებულიყვნენ ჯპს-სა და ფარმადეპოს ქსელებში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე აღნიშნა, რომ გარემოს მოწყობაშიც დიდი წვლილი მიუძღვის „გეფას“, იმიტირებული სააფთიაქო ბაზისა და ლაბორატორიის მოწყობაში ფინანსური მხარდაჭერა გამოაცხადეს, მადლობა გადაუხადეს მათ, რათა თავადვე ზრუნავენ იმ უნარების განვითარებაზე, რაც საჭიროა სააფთიაქო ქსელში დასაქმების თვალსაზრით.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, დამატებით აღნიშნა რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ „გეფას“ წარმომადგენლებს, რომლებმაც გამოთქვეს მზაობა რომ თითოეული სტუდენტი იყოს ჩართული პრაქტიკაში.

სხდომის თავმჯდომარე, ხათუნა ჩხარტიშვილი, დაინტერესდა, აკადემიაში პროგრამების რაოდენობის საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ვასაძემ, განმარტა, რომ ოთხ პროგრამას ახორციელებს კოლეჯი, ხოლო „ფარმაცია (სააფთიაქო)" იქნება მეხუთე პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარე, ხათუნა ჩხარტიშვილი, დაინტერესდა, აკადემიაში სტუდენტთა რაოდენობისა და შესაბამისი ფართის არსებობის საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ვასაძემ, განმარტა, რომ სწავლა ორ ცვლაში მიმდინარეობს, სამი გარემოა გამოყოფილი ფარმაციისთვის და სრულად შესაძლებელია 120 სტუდენტის მიღება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, დამატებით აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში დეტალურად დაითვალა ფართთან დაკავშირებული საკითხები და დაადასტურა, რომ ფართი სრულად შესაბამისია სტუდენტთა რაოდენობასთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის,

შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს თავისუფალი ხედვის აკადემიას(ს/კ: 406460235) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)" **(დანართი 1)**.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გოგიტა მშვენიერაძე.

მეორე საკითხი: შპს უსაფრთხოებისაკადემიის სასწავლო ცენტრისთვისპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ენერგომენეჯმენტი" , "განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“, "ადმინისტრაციული სერვისები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვალერი ჯაჯანიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ - ის 2026 წლის 06 მაისის №533147 (ცვლილება 19/05/2026 წ. №591785) ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, დაევალა პროფესიული შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ენერგომენეჯმენტი“, ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ და ,,ადმინისტრაციული სერვისები“ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება; ვიზიტი განახორციელა მიმდინარე წლის 3, 4 და 5 ივნისს, მისამართზე ქ. თბილისი ანა პოლიტკოვსკაიას N14; ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: მე-5 დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ,,ენერგომენეჯმენტი“ და ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ - ვალერი ჯაჯანიძე, ზაალ ხელაძე; მე-4 დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ადმინისტრაციული სერვისები“ - ვალერი ჯაჯანიძე, ნინო მაზმიშვილი.

პსდ-ს მიერ შემუშავებული პროგრამის დასაბუთება,მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობა

მისია - წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან - მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებას, გარემოს დაცვას, ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების მდგრად პროგრესს.“ სტრატეგიული განვითარების გეგმა - კოლეჯის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების შესახებ ეფუძნება დაწესებულების 2026-2032 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანს; დასაბუთება - წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ კოლეჯის მიერ გაკეთებულია შრომის ბაზრის კვლევა, როგორც საკუთარი ძალებით, ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შესრულებული კვლევის ანალიზი.

პროგრამის მახასიათებელი სხვა პარამეტრები

წინაპირობა - პროგრამებზე დაშვების წინაპირობები სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნებს; რესურსი - პროგრამების განაცხადის დანართების მიხედვით წარმოდგენილია განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი, ეს უკანასკნელი გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას; არჩევითი მოდულები - პროგრამები არ მოიცავენ არჩევით მოდულებს; პროგრამების დამტკიცება - საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით; სახელწოდება - წარმოდგენილი პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროგრამის მახასიათებელი სხვა პარამეტრები

- **ზღვრული ოდენობა** - კოლეჯი ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით. მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა პროგრამების მიხედვით შეადგენს:
- ,,**განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ - 90 პროფესიული სტუდენტი**;
- ,,**ენერგომენეჯმენტი“ - 90 პროფესიული სტუდენტი;**
- **,,ადმინისტრაციული სერვისები“ - 90 პროფესიული სტუდენტი.**
- **პროგრამების შემუშავების სამართლებრივი მოთხოვნები** - წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია მოქმედი საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად. მოდულებში წარმოდგენილია სტანდარტის მიხედვით გაწერილი ძირითადი ინფორმაცია - შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის

განხორციელების მიდგომებთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო სასწავლო რესურსის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური

მატერიალური რესურსი - პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილ, როგორც კოლეჯის საკუთრებაში მქონე AC და B სასწავლო გარემოში, ისე პარტნიორი ორგანიზაციის ,,C" გარემოში არსებული მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია პროგრამების სწავლის შედეგებთან, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულება ,,ერთი მიღების ფარგლებში მიიღებს 90 სტუდენტს", სასწავლო პროცესი განხორციელდება დღეში სამ ცვლაში. კოლეჯს წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგების განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს პარტნიორ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებები: ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" - შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია; შპს „ფოტომეიტ ევრაზია" - ჯამურად 90 პროფესიული სტუდენტი; ,,ენერგომენეჯმენტი" - სს ,,არგო"; შპს ,,აისი" - რამადა/Ramada by WYNDHAM TBILISI OLD CITY"; შპს ,,ნოვა"; შპს ,,დევარტ ჯგუფი" - ჯამურად 90 პროფესიული სტუდენტი; ,,ადმინისტრაციული სერვისები" - შპს ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი; რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი - ჯამურად 90 პროფესიული სტუდენტი.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

განმახორციელებლები - პროგრამების განხორციელებისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს წინასწარი ხელშეკრულებები: ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" - 9 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი; ,,ენერგომენეჯმენტი" – 7 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი; ,,ადმინისტრაციული სერვისები" - 4 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" და ,,ენერგომენეჯმენტი" განმახორციელებელთა უმეტესობას დოკუმენტალურად უდასტურდება პროფესიულ განათლებაში სწავლებისა და შეფასების მეთოდების კომპეტენცია; ორი პროგრამის ფარგლებში გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაწილის დატრენინგება, პროფესიულ განათლებაში სწავლებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური, საგანმანათლებლო და ფინანსური რესურსი

პრორგამის ხელმძღვანელი - პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებს ჰყავთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; საგანმანათლებლო რესურსი - ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის, მათ შორის სსსმ სტატუსის მქონე პირებისათვის; ბიუჯეტი - კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა წარმოდგენილი პროგრამების საპროგნოზო ბიუჯეტები, შემოსავალი-ვაუჩერული დაფინანსება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას - კოლეჯში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად პროგრამის შეფასებისათვის გამოიყენება სპეციალური კითხვარები. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს

ცვლილებები მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შეფასების მიზნით გარკვეული პერიოდულობით წარიმართება არსებული სალექციო/პრაქტიკული მეცადინეობების და შეფასების პროცესის ხარისხობრივი ანალიზი. პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. წარმოდგენილი კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

სასწავლო გეგმები - წარმოდგენილი პროგრამები განხორციელდება წინასწარ შემუშავებული სასწავლო გეგმით. სასწავლო გეგმებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 30 საათს, დაწესებულებაში სასწავლო პროცესი წარიმართება კვირაში 6 დღე, პროგრამების ფარგლებში სწავლა განხორციელდება სამ ცვლაში; უახლესი ტექნოლოგიები - პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება დარგის უახლესი მიღწევები, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც დადასტურდა ვიზიტის განხორციელების პროცესში; ინდივიდუალური საჭიროებები - დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, ისგ - ის შემუშავების საჭიროებები, შემუშავების პროცედურები და სხვა ღონისძიებები; პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება - პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს მის საკუთრებაში არსებული AC სასწავლო გარემოები და პარტნიორი ორგანიზაციის საწარმოო სივრცეები.

შეფასების სისტემა

შეფასების სისტემის ვალიდურობა - დაწესებულებას ვალიდაციის პროცედურების წარმართვის მიზნით შემუშავებული აქვს ორი დოკუმენტი, რომლებიც არ მოდიან წინააღმდეგობაში ერთმანეთთან, მაგრამ ამავე დროს შეფასების სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით საჭირო ხდება, ორივე რეგულაციის მოქმედებაში მოყვანა, ვიზიტის პერიოდში კოლეჯმა წარმოადგინა ავტორიზებული სტატუსის მქონე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების პროცესში შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკა, კერძოდ შეფასების ინსტრუმენტები და მისი ვალიდაციის ამსახველი დოკუმენტაცია; გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია შეფასების სისტემის ვალიდაციის მართვის ერთი ყოვლისმომცველი სამართლებრივი დოკუმენტის დამუშავება. ვერიფიკაცია - დაწესებულებას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურების წარმართვის მიზნით შემუშავებული აქვს რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც არ მოდიან წინააღმდეგობაში ერთმანეთთან, მაგრამ ამავე დროს შეფასების სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით საჭირო ხდება, ყველა რეგულაციის მოქმედებაში მოყვანა. რეგულაციები მოიცავს ვერიფიკაციის პროცესის განმახორციელებელ პირების შერჩევის, ვერიფიკაციის ძირითად მიმართულებების განსაზღვრის, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის რისკ-ფაქტორებს და სხვა ასპექტებს. ვერიფიკაციის პროცესის დასასრულს მუშავდება შესაბამისი დასკვნა, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამის განხორციელების პროცესის გაუმჯობესების მიზნით; გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია დაწესებულებამ მოახდინოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მართვის ერთი ყოვლისმომცველი სამართლებრივი დოკუმენტის დამუშავება. მტკიცებულებათა შენახვა - დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით, მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გიგაშვილი, დაინტერესდა მასწავლებელთა დატვირთვის საკითხით, როგორია სასწავლო გეგმა, უწყობს თუ არა ის ხელს ერთი ადამიანის დატვირთვის ხელოვნურად ზრდას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, აღნიშნა რომ ერთ შემთხვევაში არის 7 განმახორციელებელი, მეორე შემთხვევაში - 9. დარგობრივი მოდულები შესაძლებელია წაიკითხოს/ასწავლოს თითქმის ყველა განმახორციელებელმა. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა მასწავლებელთა დატვირთა და არ აღმოჩნდა დარღვევები შრომის კანონმდებლობასთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გიგაშვილი, დაინტერესდა მასწავლებელთა კომპეტენციის საკითხით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ვალერი ჯაჯანიძემ, აღნიშნა, რომ დარგობრივი კომპეტენციის კუთხით პრობლემები არ ჩანს, თუმცა გამოიკვეთა პროფესიულ განათლებაში მათი ჩართულობის ნაკლებობა ან არარსებობა.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა ცვლების სიმრავლითა და სტუდენტთა რაოდენობისა და ფართის შესაბამისობის საკითხით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, აღნიშნა, რომ თითოეულ პროგრამაზე გამოყოფილია ერთი 30 სტუდენტზე გათვლილი აუდიტორია, კოლეჯმა გამოათავისუფლა ფართი და არსებობს კიდევ დამოუკიდებული სამი 30 სტუდენტზე გათვლილი სასწავლო აუდიტორია - 2AC გარემო, სადაც ორივე შემთხვევაში "ენერგომენეჯმენტი" და "განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ მოცემულია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ადგილზეა საჭირო, ხოლო დარჩენილი პრაქტიკის ობიექტზეა გასული. რაც შეეხება B სასწავლო გარემოს, რომლის ფარგლებშიც მოხდა ცვლილება და ის უზრუნველყოფს ქვოტის გატარებას ცვლებთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ არსებული პროგრამის ფარგლებში კოლეჯი ამას ახორციელებს და მიღწევადია, დარეგულირებულია მასწავლებელთა დატვირთვაც, ადმინისტრაციული პერსონალი ორ ცვლაშია დასაქმებული, ხოლო სტუდენტებს დღის განმავლობაში 5 საათზე მეტი არ უწევთ კოლეჯში ყოფნა.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დამატებით აღნიშნა, რომ შეუძლებელია 15 საათიანი სასწავლო დღის ლოგიკურ დროს დასრულება ადა ამასთან დაკავშირები ითხოვა განმარტებები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, განმარტა რომ ეს არის ორმხრივი შეთანხმების შედეგი, სტუდენტები გადანაწილებულნი არიან დღის სამ მონაკვეთში, ხოლო სასწავლო დატვირთვას რაც შეეხება, არ არის გამოვლენილი ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა, დასკვნაში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოების საკითხით B გარემოში კომპიუტერთა რაოდენობასთან მიმართებით რატომ არ არის ექსპერტთა მხრიდან რეკომენდაცია რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, რადგან 30 კომპიუტერის ნაცვლად არის - 26.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, განმარტა, რომ 26 კომპიუტერის ფარგლებში იყო წარმოდგენილი შესაბამისი დატვირთვა აღნიშნულ B სასწავლო გარემოში, სადაც შესაძლებელია ოთხი პროგრამის ფარგლებში სივრცე ყოფილიყო გამტარუნარიანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ილონა ჩუხუამ, განმარტა, რომ აღნიშნულ აუდიტორიაში 15 სტუდენტიან ჯგუფებთან ტარდება ლექცია. რაც შეეხება სასწავლო დღის ხანგრძლივობას, დამატებით აღნიშნა, რომ პირველ ჯგუფთან ლექციები მიმდინარეობს 08:30-დან 14:20-მდე;

მეორე ჯგუფთან - 14:20-დან 18:00-მდე, ხოლო მესამე ჯგუფთან - 18:00-დან 22:45-მდე, ასეთი განრიგი მათ შესაძლებლობას აძლევთ სწავლა შეუთავსონ თავიანთ სამუშაო გრაფიკს.

საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე, დაინტერესდა ლექციისა და შესვენების ხანგრძლივობის საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ილონა ჩუხუამ, აღნიშნა, რომ ლექციის ხანგრძლივობაა 45 წუთი, ხოლო შესვენების - 15 წუთი.

საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე, დაინტერესდა თუ როგორ ახერხებენ 15 საათიანი სასწავლო დღის ფარგლებში ადმინისტრაციული პერსონალის გადანაწილებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მაზმიშვილმა, განმარტა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები ორი ცვლის განმავლობაში მუშაობენ, საღამოს საათებში ადგილზეა მინიმუმ სამი ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ამ დროს ღიაა ბიბლიოთეკაც. პერსონალისთვის პირველი ცვლა გრძელდება 09:00-დან 18:00 საათამდე, ხოლო მეორე - 14:00-დან 22:45 საათამდე.

საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე, დაინტერესდა სანიტარულ ჰიგიენური სამსახურის მუშაობის გრაფიკით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მაზმიშვილმა, განმარტა, რომ დილით ადრე და შუადღით სუფთავდება შენობა, ხოლო საღამოს საათებში დაწყებულია „ხელოვნური ინტელექტის მქონე დამლაგებლების გამოყენება“, ამის დახმარებით კი ადამიანურ რესურსი იზოგება.

საბჭოს მდივანი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მაზმიშვილმა, განმარტა, რომ აქვთ სპეციალური ოთახი, ხოლო პერსონალი გადამზადებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების კუთხით.

საბჭოს მდივანი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა მასწავლებელთა ჩანაცვლების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მაზმიშვილმა, განმარტა, რომ სასწავლო პროცესს აქვს გაწერილი ჩანაცვლების მექანიზმი, ძირითადად წინასწარ ხდება გაფრთხილება თუ რომელიმე ვერ ახერხებს კონკრეტულ დღეს მოსვლას. წლებია ამ გამოცდილებით მუშაობენ და პრობლემები არ გამოკვეთილა. მიმდინარეობს ვიდეო მონიტორინგი, მუდმივადაა ადგილზე დაცვა. შესვლა და გასვლა საშვის საშუალებით ხორციელდება.

საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე, დაინტერესდა თუ როგორ ნაწილდებიან სტუდენტები ჯგუფებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მაზმიშვილმა, განმარტა, რომ კოლეჯში შერჩევის ეტაპია, რომლის დროსაც ეგზავნებათ მსურველებს კითხვარი და შემდეგ მოდიან გასაუბრებაზე, ამ კითხვარის დახმარებით, წინასწარ აქვთ ინფორმაცია სტუდენტთა ინტერესებზე და ქულების მიხედვით ხდება ჯგუფების დაკომპლექტება და სტუდენტთა პრიორიტეტების დაკმაყოფილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მაზმიშვილმა, დამატებით აღნიშნა, რომ იგეგმება ხუთი მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე განაცხადის შემოტანა,

რომლებიც სწორედ ამ სადიპლომო პროგრამებიდან გამომდინარეობს, შემუშავებულია „გრედასთან“ მუშაობის შედეგად, ფართი, რომელიც თიბისის სასწავლო ცენტრი იყო ისევ დაუბრუნდება კოლეჯს და იქ მოხდება სტუდენტთა განთავსება. ასევე, დამატებით ყურადსაღებია ისიც, რომ აღნიშნული პროგრამები, რომელთაც ამ ეტაპზე იმატებენ, მომავლის პროგრამებია და სტატისტიკის მიხედვით ჯერ ისეთი მოთხოვნადი არ არის და ადგილების სრულად შევსება პირველ წლებში, სავარაუდოდ, არ მოხდება.

საბჭოს მდივანი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა თუ როგორაა პრაქტიკის ნაწილში გადანაწილებული სამცვლიანი სწავლება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მაზმიშვილმა, განმარტა, რომ პრაქტიკის ობიექტები დიდი რაოდენობისაა და მოცულობა/გამტარუნარიანობა ყველას აქვს დაფიქსირებული 90 და მეტი, ამ მხრივ სირთულე არ არის, ერთადერთი, საღამოს ჯგუფს წინასწარ ეწერებათ ხელშეკრულებაში, რომ პრაქტიკულ ნაწილს დღის საათებში გაივლიან.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა თუ რამდენად აქვთ სტუდენტებს პრაქტიკის ნაწილში უშუალოდ ტექნიკასთან/დანადგარებთან მუშაობის შესაძლებლობა, თუ უბრალოდ მეთვალყურის რეჟიმით გადიან პრაქტიკას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, განმარტა რომ ვიზიტის ფარგლებში მოინახულეს ოთხი პრაქტიკის ობიექტი, რომლებიც ფარავდა 90 სტუდენტზე მოთხოვნას. "განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ კუთხით იყვნენ მზის ელექტროსადგურში, სადაც აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მართვის ობიექტები, ასრულებენ კონკრეტულ ტექნიკურ სამუშაოებს მზის პანელთან დაკავშირებით. „არგო“ განახორციელებს პრაქტიკას “ენერგომენეჯმენტის” მიმართულებით და დაადასტურეს, რომ ყველა სტუდენტი იქნება ჩართული, რადგან მათ ბევრი ობიექტი აქვთ.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა დაწესებულებაში AC გარემოში ლაბორატორიები რამდენად იყო აღჭურვილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, განმარტა რომ დარგის ექსპერტმა შეისწავლა დეტალურად აღნიშნული საკითხი. 30 კაციან ჯგუფთან მიმართებით, შესაძლოა სამ ჯგუფად დაყოფა და სხვადასხვა სამუშაოზე მუშაობა მულტიმეტრების დახმარებით. ადგილზე იყო მზის პანელებიც. მატერიალური რესურსი საკმარისი იყო 30 კაციანი ჯგუფისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა "ადმინისტრაციული სერვისების“ პრაქტიკის ბაზების ტევადობის საკითხით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, აღნიშნა რომ დათვალიერდა ქიმიის ინსტიტუტი და ვეტერანთა ჰოსპიტალი და დაადასტურა, რომ დაკმაყოფილებულია სივრცე 30 სტუდენტიანი ჯგუფისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა, პრაქტიკის ობიექტის მხრიდან მენტორი/ინსტრუქტორები რამდენად არიან გადამზადებულნი და იცნობენ მოდულებს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, განმარტა რომ მოდულს წაიკითხავს უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებელი, პრაქტიკის ობიექტი უბრალოდ გამოყოფს პასუხისმგებელ პირს, რომელიც იქნება მათთან ერთად, ის ზედამხედველობის ფუნქციით იქნება და არ ჩაერთვება პროცესებში.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა დასკვნაში 2.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით გაკეთებული ჩანაწერის „ადმინისტრაციული სერვისების პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები დადგინდა „ენერგომენეჯმენტის“ ხელმძღვანელის აღწერილობით“ სისწორით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ,ვალერი ჯაჯანიძემ, განმარტა, რომ აღნიშნულ ჩანაწერში მექანიკური შეცდომაა.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა შეფასების მტკიცებულებებისა და ვადებთან დაკავშირებით. რადგან, დასკვნაში ერთგან წერია, რომ შეფასების მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით და მეორეგან -კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის ვადით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, აღნიშნა რომ ესეც ტექნიკური ხარვეზია და სწორია, რომ შეფასების მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დამატებით აღნიშნა რომ სავალდებულოა გამოასწორონ დოკუმენტები, რათა თანხვედრა იყოს ვალიდაციასა და ვერიფიკაციის შორის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ენერგომენეჯმენტი", "განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“, "ადმინისტრაციული სერვისები“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს(ს/კ: 406290954) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები "ენერგომენეჯმენტი", "განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“, "ადმინისტრაციული სერვისები“ **(დანართი 2).**

სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.

დაწყება: 14:05
დასრულება: 14:15

მესამე საკითხი: შპს ენ დი აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გვანცა პაკატილოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 18 მაისის N587495 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს ენ დი აკადემიაში, დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 27,28 და 29 მაისს განხორციელდა ვიზიტი შპს ენ დი აკადემიაში (მის: ქ. თბილისი, დავით სარაჯიშვილის N35ა.). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში. ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფი გასცემდა უკუკავშირს ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი. წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს „ენ დი აკადემიის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების ფარგლებში აღსანიშნავია საგანმანათლებლო პროცესის მჭიდრო ინტეგრაცია რეალურ სამუშაო გარემოსთან. აკადემიის პარტნიორი ორგანიზაციაა ჯეო ინსპექტი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ და მემორანდუმი დასაქმების შესახებ. კომპანია ფლობს სამუშაო აღჭურვილობისა და მზომი ხელსაწყოების გამოყენებისა და გაზომვის შესაბამის შესაძლებლობებს, რაც პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, სასწავლო პროცესში გაეცნონ და პრაქტიკულად გამოიყენონ შრომის უსაფრთხოების სფეროში რეალურად გამოყენებადი ხელსაწყოები და ტექნოლოგიები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით განხორციელდა აკადემიის სასწავლო და სამუშაო გარემოს მავნე ფიზიკური ფაქტორების შეფასება, მათ შორის: შეფარდებითი ტენიანობის, ტემპერატურის, ჰაერის მოძრაობის სიჩქარის, განათებისა და ხმაურის გაზომვა. ჩატარებული კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ აკადემიაში არსებული გარემო შეესაბამება დადგენილ ნორმებს, რაც პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის პრაქტიკულ მაგალითს წარმოადგენს. ამასთანავე, აკადემიამ საკუთარი ინიციატივით და დამატებითი ინვესტირების გზით შეიძინა ისეთი მატერიალური რესურსები, რომლებიც ჩარჩო დოკუმენტით სავალდებულოდ განსაზღვრულ ჩამონათვალში არ შედის, თუმცა მნიშვნელოვნად ზრდის სასწავლო პროცესის ხარისხსა და პრაქტიკულ ღირებულებას. მათ შორისაა: კუთხსახეხი, მინი ცირკული ხერხი, რადიაციის მზომი დოზიმეტრი, რადიაციისგან დამცავი საყელო და ხალათი, სიმულაციური ამწე და ფუნქციური მანეკენი. აღნიშნული რესურსების ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას აძლევს, განივითარონ პრაქტიკული უნარები თანამედროვე და რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად დაახლოებულ პირობებში. აკადემიის მიერ რეალური სამუშაო გარემოსთან თანამშრომლობა, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით გარემო ფაქტორების სისტემური შეფასება და ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მიღმა დამატებითი მატერიალური რესურსების მობილიზება წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებასა და ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფას.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 5.1.1.4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით-დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (23.03.2026-23.08.2026) შენობის ყველა სართული უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური გათბობის სისტემით;

• ინდიკატორი 5.1.2.1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები- დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(23.03.2026-23.08.2026) წარმოადგენს დასკვნას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

• ინდიკატორი 5.1.2.4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას - დაწესებულება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.05.2026-23.08.2026) უზრუნველყოფს შენობა- ნაგებობაზე, მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეო კამერების სისტემის მოწყობას.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს ენ დი აკადემიის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (2026 წლის 24 ივნისის წერილი N11960) დგინდება, რომ დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

შპს „ენ დი აკადემია“ ბაზარზე 2025 წლის 17 ნოემბერს გამოჩნდა, თუმცა მის დაფუძნებას საფუძვლად დაედო გუნდის მრავალწლიანი, წარმატებული პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების საგანმანათლებლო მიმართულებით. ორგანიზაციის სტრატეგიული მისია შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე მყისიერი რეაგირება და მაღალკვალიფიციური, პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებული კადრების მომზადებაა. აკადემია ორიენტირებულია ისეთი ინოვაციური სასწავლო ეკოსისტემის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას და პირდაპირ კავშირს ამყარებს პროფესიულ მომზადებასა და რეალურ ბიზნეს-გარემოს შორის. დამსაქმებლებთან მჭიდრო პარტნიორობისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვით, „ენ დი აკადემია“ ხელს შეუწყობს სტუდენტების სწრაფ, ეფექტურ ინტეგრაციას შრომის ბაზარზე და რეალურად გაზრდის მათ დასაქმების პოტენციალს. შპს ,,ენ დი აკადემიის“ მისია ჟღერს შემდეგნაირად: „შპს ,,ენ დი_აკადემია“ არის მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა უზრუნველყოს ხარისხიანი სასწავლო და სამუშაო პირობების შექმნა, ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. მოამზადოს პროფესიული უნარებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური, მრავალპროფილური მიმართულების მქონე სპეციალისტები, რომლებიც წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. მისიის შემუშავებისას აკადემიამ გაიაზრა აკადემიის როლი, თუნდაც მცირე, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების (ა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; ბ. სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; გ. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, დ. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა) შესრულებაში. აკადემიის მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების ისეთ მიზნებთან, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

დაწესებულების მისიაში დეკლარირებული ფართო პროფილი ხაზს უსვამს აკადემიის გრძელვადიან განვითარებაზე ორიენტირებულობასა და მოქნილობას. საგანმანათლებლო ჩარჩოებისა და შეზღუდვების არარსებობა ზრდის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას და სტუდენტებს აძლევს სასურველი მიმართულების თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას. აღნიშნული მიდგომა სრულად პასუხობს შრომის ბაზრის დინამიკურ მოთხოვნებს, რაც აკადემიას საშუალებას მისცემს, დამსაქმებლებს შესთავაზოს მრავალფეროვანი, აქტუალური პროგრამები და, შესაბამისად, ეფექტურად შეუწყოს ხელი კურსდამთავრებულთა შემდგომ დასაქმებას. აკადემიის მისიიდან გამოკვეთილია საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: აკადემია წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

დაწესებულების მისიიდან გამომდინარეობს ხედვა და ღირებულებები, დაწესებულების ხედვაა: „აკადემიის ხედვაა 2032 წლისათვის ჩამოყალიბდეს თანამედროვე, ინსტიტუციურად მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც უპასუხებს შრომის ბაზრის გამოწვევებსა და კონკურენტუნარიან საგანმანათლებლო სივრცეში დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს; “ აკადემია იხელმძღვანელებს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ინტერესებით, მისიასა და ხედვაში გაცხადებული მიზნების მისაღწევად და შესაბამისად, საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას აპირებს განახორციელოს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით: 1.ხარისხი და პროფესიონალიზმი - ყველა პროცესი ხორციელდება დადგენილი სტანდარტებისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე. 2. მოქნილობა და ხელმისაწვდომობა - საგანმანათლებლო პროგრამები ხელმისაწვდომია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის თანასწორობის პრინციპის დაცვით. 3. პარტნიორობა და სექტორული ჩართულობა - პროგრამების დაგეგმვა და განახლება ხორციელდება შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. 4. ინკლუზიურობა და თანასწორობა - აკადემია უზრუნველყოფს დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოს. 5. უწყვეტი გაუმჯობესება - სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებები ეფუძნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. საინფორმაციო გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია, როგორც დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში (Facebook), ისე თვალსაჩინო ადგილას, უშუალოდ აკადემიის შენობაში. კოლეჯის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი სხვადასხვა არხით: ვებ-გვერდი: განთავსება კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (ndacademy.ge); სოციალური ქსელები: განთავსება სოციალური ქსელების მთავარ გვერდზე; ბეჭდური მასალა: განთავსება კატალოგში; შიდა სივრცე: განთავსება კოლეჯის შიდა სივრცეში (თვალსაჩინო ადგილზე), რაც უზრუნველყოფს ფიზიკურ ხელმისაწვდომობას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს, როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე დაინტერესებული ნებისმიერი მხარეებისთვის. აკადემიის შესახებ საინფორმაციო კატალოგი განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე, სადაც დეტალურადაა მოცემული ინფორმაცია მისიის, ხედვის და ღირებულებების შესახებ სხვა მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად სტუდენტებისთვის (დაშვების წინაპირობა, ინფორმაცია პროგრამის შესახებ, დასაქმების შესაძლებლობა, პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა).

აკადემიის სტრატეგიული მართვისა და ინსტიტუციური განვითარების საფუძველს წარმოადგენს აკადემიის დირექტორის 2026 წლის 12 იანვრის No2/03 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტით დაწესებულება ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, რაც სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს. მეთოდოლოგია დეტალურად არეგულირებს გეგმების განხილვის, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარებისა და მონიტორინგის პროცედურებს. ინსტიტუციური განვითარების საწყის ეტაპზე, თანამშრომელთა აქტიური ჩართულობითა და SWOT ანალიზის საფუძველზე, ორგანიზაციის მისიასთან შესაბამისობაში უკვე შემუშავებულია 2026–2032 წლების სტრატეგიული და 2026 წლის სამოქმედო გეგმები. ვინაიდან აკადემია ავტორიზაციის მოპოვების ეტაპზეა და ჯერ არ ფუნქციონირებს, წესის პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობის შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია, თუმცა დოკუმენტურად განსაზღვრული 7 წელიწადში ერთხელ დაგეგმვის ციკლი, ისევე როგორც მონიტორინგის ორეტაპიანი (შუა ეტაპზე და დასრულებამდე 6 თვით ადრე) ანგარიშგების მექანიზმი, ქმნის მყარ საფუძველს პროცესის ხარისხის უწყვეტი ამაღლებისთვის.

დაწესებულებამ წარმოდგინა დირექტორის 16.01.2026 წლის N2/05 ბრძანებით დამტკიცებული 2026-2032 წლების 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და დირექტორის 16.01.2026 წლის N2/06 ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აკადემიის სტრატეგიული გეგმის თითოეულ სტრატეგიულ მიზანს გააჩნია თავისი ამოცანები, ხოლო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანების აქტივობები და შესრულების მაჩვენებელი/ინდიკატორები, ასევე განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, ჩართული მხარე და რისკები. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მისიასთან თავსებადი 5 სტრატეგიული მიზანი, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული აკადემიის იდენტობასთან, მისია/ხედვასთან. მიზნები ფარავს: განათლების ხარისხის განვითარებას, ინსტიტუციურ განვითარებას , რესურსების/სტუდენტური სერვისების გაუმჯობესებას. აკადემიის სტრატეგიული მიზნებია: 1. კოლეჯის ინსტიტუციური განვითარება; 2. საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება; 3. ადამიანური რესურსების განვითარება; 4. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენე ლთა და კურსდამთავრებულ თა მხარდაჭერის სისტემის განვითარება; 5. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგა/განვითარება; მეთოდოლოგიის შესაბამისად, თითოეული სტრატეგიული მიზანი დაგეგმილია SMART კრიტერიუმების (კონკრეტულობა, გაზომვადობა, მიღწევადობა, რელევანტურობა და დროში გაწერილობა) გათვალისწინებით და მათ მისაღწევად მკაფიოდ არის განსაზღვრული შესაბამისი ამოცანები, განხორციელების ვადები წლების მიხედვით, შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს შორის ლოგიკურ კავშირს და მოიცავს სტანდარტით მოთხოვნილ ყველა აუცილებელ კომპონენტს: კონკრეტულ აქტივობებს, შესრულების ვადებს, გაზომვად ინდიკატორებს, მტკიცებულებებს, პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პერსონალთან გასაუბრება ადასტურებს სრულ მზაობასა და შესაბამისობას სტანდარტის მოთხოვნებთან.

დაწესებულებაში სამოქმედო გეგმის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მექანიზმები ინსტიტუციურ დონეზეა მოწესრიგებული და გაწერილია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში. კერძოდ, აკადემიის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, შემუშავებული სამოქმედო გეგმა, მისი გასაჯაროების მიზნით, სავალდებულო წესით თავსდება აკადემიის ვებგვერდზე და ვრცელდება დოკუმენტის (მე-2 მუხლით - სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი მიდგომები: ანგარიშვალდებულება - აკადემია ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ - შუა ეტაპზე და დასასრულს, ამასთან უზრუნველყოფს მის საჯაროობას აკადემიის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.) განსაზღვრული გამჭვირვალობის პრინციპის შესაბამისად. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი შეფასების ინდიკატორი სრულ თანხვედრაშია აღნიშნულ შიდა დოკუმენტურ მოთხოვნასთან. დაწესებულება სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გამოქვეყნებით რეალურად უზრუნველყოფს მარეგულირებელი წესით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რაც გარანტიას ქმნის დაინტერესებული მხარეების (პერსონალი, სტუდენტები, პარტნიორები) დროული ინფორმირებულობისა და ინსტიტუციის საქმიანობის ღიაობისთვის.
აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, აგრეთვე სასწავლო პროცესის გამჭვირვალობა და სტაბილურობა რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (19.01.2026 N2/07 ბრძანება); აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვის სრულ ციკლს, კერძოდ: სტატუსის

მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს (მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა; მუხლის 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა); მიღებული განათლების აღიარებისა და პროფესიულ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცედურებს (მუხლი 4. შიდა და გარე მობილობა). ამასთანავე, წესით განსაზღვრულია სტუდენტზე ორიენტირებული გარანტიები, როგორიცაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები (მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები); დოკუმენტი ასევე მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას (მუხლი 10. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა), პროგრამების განხორციელების ფორმატსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა არსებით საკითხებს, რაც ქმნის სტუდენტის უფლებების დაცვის მყარ სამართლებრივ საფუძველს.

შპს „ენ დი აკადემია“ ორიენტირებულია თითოეული პროფესიული სტუდენტის აკადემიური წინსვლისა და განვითარების მაქსიმალურ მხარდაჭერაზე. სამომავლოდ დაგეგმილი სასწავლო პროცესის ფარგლებში, დაწესებულება ჩამოაყალიბებს კონსულტირებისა და აკადემიური მხარდაჭერის ქმედით სისტემას, რომელიც ორიენტირებული იქნება სტუდენტთა მიერ სასწავლო მიზნების ეფექტურ მიღწევაზე.“ აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (დამტკიცებული 19.01.2026 წლის N2/07 ბრძანებით) დეტალურად არის გაწერილი და სამომავლოდ პრაქტიკაში ამოქმედდება მკაფიო პროცედურები, თუ რა შემთხვევაში და როგორი მექანიზმით შეეძლება პროფესიულ სტუდენტს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება (მათ შორის, დაუდასტურებელი სწავლის შედეგების ხელახალი/განმეორებითი დადასტურება). იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ დაადასტურა კონკრეტული სწავლის შედეგი, წესით განსაზღვრულ ვადებსა და პირობებში მას მიეცემა შესაძლებლობა, ისარგებლოს განმეორებითი შეფასების უფლებით, სადაც გამოყენებული იქნება ვალიდური შეფასების ინსტრუმენტები. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს დამატებითი შეფასებით არაუმეტეს ორჯერ; ასევე დამატებითი შეფასების დაგეგმვასა და ორგანიზებაზე პასუხიმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით.

პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული აკადემიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საშტატო ნუსხა, ასევე შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა ორგანოგრამის სახით, სადაც სქემატურად არის მოცემული პერსონალის იერარქია და დაქვემდებარებები. აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად პერსონალს: დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პროგრამის ხელმძღვანელს, ბიბლიოთეკარს, კომპიუტერული უზრუნველყოფის მენეჯერს, ფინასურ მენეჯერს, იურისტს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, ექთანს, დარაჯის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს და დიასახლისს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ყველა თანამდებობრივი პოზიციის სამუშაო აღწერილობა, ჩანს თითოეული პოზიციის მიხედვით შესასრულებელი დავალებები, სამუშაოს პირობები, პოზიციებს შორის კოორდინაციის საკითხი, დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება/პასუხისმგებლობა.
დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით დაწესებულებას ფიზიკურ პირთან ზ.გ- სთან 2026 წლის 23 მარტს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება N5/13, რომლის

ფარგლებში, 7 წლის ვადით , ფლობს ფართს ჯამურად - 721.66 კვ.მ-ს. საკადასტრო კოდზე: (01.11.05.025.017) .საიჯარო ფართი მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი დავით სარაჯიშვილის N35ა. შენობა-ნაგებობების, ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. დაწესებულებაში მოწყობილია სასწავლო და სამუშაო სივრცეები პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის. აკადემიის მიერ წარმოდგენილ იქნა შიდა აზომვითი ნახაზები, ფართების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმა და მატერიალური რესურსების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის მიღება-ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები.

აკადემიაში ცენტრალური გათბობის სისტემა დამონტაჟებულია პირველ და მეორე სართულებზე, ხოლო მესამე და მეოთხე სართულებზე აღნიშნული სისტემა არ არის დამონტაჟებული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა და, წარმომადგენელთა განმარტებით, გეგმაში განსაზღვრულ ვადაში (23.08.2026) განხორციელდება სამუშაოების დასრულება.

აკადემიას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულება შემოსულია შესაბამისობის გეგმით. დაწყებულია შესაბამისი პროცედურები, კერძოდ, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2026 წლის 14 აპრილის MIA 8 26 01278629 წერილი, ადასტურებს, რომ აკადემიის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტები შეესაბამება მოქმედ სამშენებლო ნორმებს, წესებსა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. ასევე დაწესებულებაში ყველა სართულზე თვალსაჩინოდაა აღნიშნული ყველა ის ინსტრუქცია, გამაფრთხილებელი თუ მანიშნებელი ნიშანი, რომელიც გვამცნობს უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას, აქვს საევაკუაციო გასასვლელი, უზრუნველყოფილია განათებული მაჩვენებლებით (მაგალითად: „EXIT”), თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა და დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (23.08.2026) აკადემიას ექნება დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. შენობის მდგრადობის შესახებ, შპს საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის მიერ 2026 წლის 21 მარტს გაცემულია საექსპერტო დასკვნა. დასკვნის მიხედვით, განხორციელებული ექსპერტიზის საფუძველზე დადასტურებულია, რომ აკადემიის ფართის (საკადასტრო კოდი: 1.11.05.025.017) ტექნიკური მდგომარეობა ექსპლუატაციისთვის უსაფრთხოა და გაცემულია დადებითი რეკომენდაცია.

აკადემიის დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის N2/16 ბრძანებით დამტკიცებულია ,,უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები“. კოლეჯში დანერგილია უსაფრთხოების მართვის კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ადამიანურ რესურსებს,-კერძოდ, შრომის უსაფრთხოების მენეჯერს, დარაჯს და კონტრაქტორ პროვაიდერს შპს ვიქტორია სექიურითსს, ისე ტექნიკურ საშუალებებს: ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარსა და საევაკუაციო გეგმებს. დაწესებულება ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს, რეგულარულ ინსტრუქტაჟებს, ევაკუაციის სავარჯიშოებსა და სისტემების ტექნიკურ ინსპექტირებას, რაც უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას ნებისმიერ ინციდენტზე. პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გადანაწილებული ადმინისტრაციულ პერსონალსა და შესაბამის მენეჯერებს შორის, ხოლო წესრიგის დარღვევის ან უსაფრთხოების საფრთხის შემთხვევაში, მოქმედებს ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი და 112-თან თანამშრომლობის დადგენილი პროტოკოლი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა დაკორექტირებული შესაბამისობის გეგმა სამეთვალყურეო სისტემებთან დაკავშირებით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს

ხელშეკრულება სამეთვალყურეო სისტემის შესყიდვისა და მონტაჟის შესახებ, სამუშაოები დაწყებულია, გარე პერიმეტრზე ნაწილობრივ მოწყობილია სისტემა, ხოლო შიდა სივრცეში მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაოები. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფენ პროცედურების დასრულებას (23.08.2026).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

შპს „ენ-დი-აკადემია“ წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიებს“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია აკადემიის დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N2/10 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგით“. დაწესებულების მისია ეფუძნება პროფესიული უნარებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური, მრავალპროფილური მიმართულების მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. დაწესებულების სტრატეგიული გემის მეორე სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა/განვითარება, შესაბამისად „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას, ასევე გარემოს დაცვას, ნარჩენების მართვას და სხვ. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ზრდის პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე – „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ – დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის“ შესაბამისად.

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის N 2/11 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობებს და განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა იმ ოპტიმალურ რაოდენობას, რომელიც შესაძლებელს ხდის ხარისხიანი განათლების მიღებას. პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში დაგეგმილია არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება, წელიწადში 120 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს,

რომ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” პროგრამისთვის განსაზღვრული ორ წელზე ჯამურად 240 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელება უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც შექმნილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულყოფილად განხორციელებას. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ, სწავლების განხორციელებისათვის გამოყოფილია: ერთი A გარემო, ორი A/C გარემო და ერთი B გარემო. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის ინვენტარით.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს და აკმაყოფილებენ შესაბამისი პოზიციებისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირადი საქმეების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით აუცილებელ პროფესიულ, დარგობრივ და პედაგოგიურ კომპეტენციებს. მათი პროფესიული გამოცდილება, კვალიფიკაცია და პრაქტიკული საქმიანობა შესაბამისობაშია პროგრამის მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმება სირთულეებს წარმოადგენს, მათ მიერ დამტკიცებული მონტაჟის გეგმაში თავადვე აქვთ შენიშვნები ვიზიტების განმავლობაში და აკორექტირებენ.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა, აპირებს თუ არა აკადემია გახდეს მრავალპროფილური.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ამ ეტაპზე ამ პროგრამისთვის აქვთ სრული მზაობა, თუმცა მომავლისთვის იგეგმება პროგრამების დამატება, რომელშიც ასეთივე მზაობით იქნებიან.
საბჭოს მდივანი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა, კონკურენციის საკითხით და მოითხოვა განმარტება, თუ რას მიიჩნევს დაწესებულება თავის ძლიერ მხარედ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ პროგრამის შემუშავებაში შრომის ინსპექტირების სამსახური იყო ჩართული, სასწავლო პროცესში სტუდენტი მაკონტროლებლის თვალითა და ადგილზე დამხვედრი სუბიექტების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების თვალით დანახულ შრომის უსაფრთხოებას განიხილავს და დასაქმების შემთხვევაში, მაკონტროლებელი ორგანოს კონტროლს შეჩვეული იქნება. კოლეჯის ძლიერ მხარედ მიიჩნევა

ადამიანური რესურსი. ასევე, დასაქმების რეალური მემორანდუმებია გაფორმებული და თავად პროფესიული მასწავლებლები სფეროში დამსაქმებლები არიან.

საბჭოს მდივანი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა, ვიზიტის პერიოდში თუ გამოჩნდა ისეთი რამ, რაც დასკვნაში არ აისახა, მაგრამ ადგილზე გაიცა რჩევა/რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გვანცა პაკატილოვმა აღნიშნა რომ მსგავსი არაფერი ყოფილა, ყველა დოკუმენტაცია მოწესრიგებული და ლოგიკურ ბმაში იყო ერთმანეთთან, ხარისხის მართვის კუთხით მოწინავენი არიან. ასევე, საუკეთესო პრაქტიკად ჩაეთვალათ უსაფრთხოების კუთხით გადადგმული ნაბიჯები: ზომავენ ჰაერის ტენიანობას, ხმაურს და განათების მაჩვენებელს.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა, ნინო თამაზაშვილმა, დამატებით აღნიშნა, რომ პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში სასურველია, რომ სრული მზაობით წარსდგეს დაწესებულება ბაზარზე, აღნიშნულ დაწესებულებას ჰყავს ძლიერი პარტნიორთა გუნდი. ყველა ხელშეკრულება არის რეალური, რითაც დასაქმების მაჩვენებელი გაიზრდება. ჩატარდა მოკვლევა, თუ რამდენად იყო ბაზარზე მოთხოვნა, გამოიკვეთა, რომ არის უკვე გარკვეული რაოდენობა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებისა, თუმცა მოთხოვნა არის მაღალ ხარისხზე და სწორედ ამ ხარისხს სთავაზობს ეს აკადემია ბაზარს.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა, ვინაიდან 9 განსხვავებული პარტნიორი ორგანიზაციაა და პროგრამის განხორციელების გარემო იქნება ერთმანეთისაგან განსხვავებული, რისკი ხომ არ არსებობს სხვადასხვა ობიექტზე შეფასების სისტემა რომ აცდება ერთიან სტანდარტს.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა, ნინო თამაზაშვილმა, განმარტა, რომ მიზანმიმართულად იქნა აღებული განსხვავებული პრაქტიკის ობიექტები, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ყველა ტიპის გარემოსთან ჰქონდეთ შეხება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დავით კუპატაძემ, დამატებით განმარტა, რომ აკადემიის ჯგუფში ჩართულნი არიან დარგის განმახორციელებელი პირები. პრაქტიკის ობიექტები დათვალიერდა, 9 ობიექტთანაა ხელშეკრულება გაფორმება, ადგილზე იყვნენ ნაწილთან, ხოლო დანარჩენთან ონლაინ გასაუბრება წარიმართა. მან ასევე აღნიშნა, რომ დადებითია რამდენიმე სამშენებლო კომპანიასთან თანამშრომლობა, კომპანიებში ჯგუფები იქნებიან დაყოფილი და პერიოდულად გადანაწილდებიან ყველა ტიპის კომპანიაში მონაცვლეობით. საბოლოო ჯამში, სტუდენტს ყველა სფეროსთან ექნება შეხება.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა, პარტნიორ ორგანიზაციაში სტუდენტთა უსაფრთხოების საკითხით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დავით კუპატაძემ, აღნიშნა, რომ დათვალიერებისა და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მზაობა უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით, აქვთ ჟურნალი, რომლითაც უტარდება ინსტრუქტაჟი შემსვლელ პირს და აწერენ ხელს. თითოეული შემსვლელ პირი იცვამს შესაბამის აღჭურვილობას.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა, რამდენად არიან მენტორები შეფასების სიტემაში გარკვეულნი. როგორ ხდება პარტნიორ კომპანიებში შეფასებებისა და მტკიცებულებების მიწოდება ვერიფიკატორისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გვანცა პაკატილოვმა აღნიშნა, რომ ყველა ობიექტის წარმომადგენელთან განხორციელდა გასაუბრება, კოლეჯი და ობიექტი მუშაობს კომბინირებულად და ინფორმირებულნი არიან შეფასების სიტემით.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა, ნინო თამაზაშვილმა, დამატებით აღნიშნა, რომ პრაქტიკის ნაწილში კოლეჯის წარმომადგენლებიც ჩართულნი არიან, მენტორთან ერთად მოხდება სწავლება და ჯერ კონკრეტულად არაა განსაზღვრული შეფასება ობიექტზე მოხდება თუ კოლეჯში, ამას პრაქტიკის დაწყებისთანავე განსაზღვრავენ, რომელი იქნება უფრო სწორი და ლოგიკური.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა, არაქართულენოვანი სტუდენტების მხარდაჭერის საკითხით, თუ რამდენად უზრუნველყოფს შეფასების სიტემის თარგმნას აკადემია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გვანცა პაკატილოვმა აღნიშნა, რომ ინტერვიუს შედეგად როგორც გაირკვა, სპეციალისტი ეყოლება აკადემიას, რომელიც სტუდენტს შეასწავლის ქართულ ენას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ნებისმიერი ტერმინოლოგია ძალიან რთულია, შესაბამისად, მათ ჰყავთ პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებიც მათ ენას ფლობენ და ინსტრუქტაჟსაც უტარებენ თავიანთ ენაზე.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა, საქართველოში საქმდებიან თუ არა არაქართულენოვანი სტუდენტები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შრომის უსაფრთხოების დეფიციტია მარნეულში, ახალქალაქში და ახალციხეში და იგეგმება, სურვილის შემთხვევაში, მათი აქ დასაქმება.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძემ, გააჟღერა დასკვნაში აღნიშნული ჩანაწერი „აკადემიას შემუშავებული აქვს პროგრამების კატალოგი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ და ანონსის სახით აღნიშნულია, რომ დაწესებულება ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ გეგმავს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვით ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგამების განხორციელებას“ და დაინტერესდა, რამდენად კმაყოფილდება ამ აღწერის მიხედვით სტანდარტის მოთხოვნა, რადგან, ამ შემთხვევაში, კატალოგის დეფინიციის დარღვევასთან არის საქმე, პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებით პროგრამების კატალოგი არ არის მარკეტინგული აფიშა ან ანონსი, ის უნდა შეიცავდეს პროგრამის სრულ სტრუქტურას, კრედიტებს, სწავლის შედეგებს, მოდულებს, მიღების წინაპირობებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციებს, ექსპერტის აღწერის მიხედვით კი ის ერთგვარი ანონსია.

საბჭოს წევრმა ეკატერინე გიგაშვილმა დატოვა სხდომა.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა, ნინო თამაზაშვილმა, განმარტა, რომ პროგრამების კატალოგში ეს ყველაფერი განსაზღვრულია.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძემ, დაინტერესდა ფინანსური საკითხით და გააჟღერა, დასკვნაში მითითებულია, რომ ბიუჯეტში მოცემულია შემოსავლის ორი წყარო, დამფუძნებლის კონტრიბუცია და ვაუჩერული დაფინანსება ავტორიზაციის მოპოვების

შემდგომ და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების მიზნით, აკადემია გეგმავს შედეგი წლის აქტივობების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემუშავების. მან აღნიშნა, რომ ეს არის ვირტუალური შემოსავალი, შესაბამისად, ამ მომენტში ნულოვანი ვაუჩერული შემოსავალი აქვს აკადემიას და თუ ბიუჯეტის მდგრადობა კრიტიკულადაა დამოკიდებული ვაუჩერზე, ამ შეთხვევაში კონტრიბუცია უნდა იყოს, რომ დაიფაროს საოპერაციო ხარჯები ასი პროცენტით და დაინტერესდა, კოლეჯს აქვს თუ არა ეს კონტრიბუცია გაწერილი.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა, ნინო თამაზაშვილმა, განმარტა, რომ მიმდინარე საოპერაციო ხარჯები დაფარულია დამფუძნებლის კონტრიბუციით, შემუშავებულია ერთი წლის ჭრილში ინსტიტუციის საპროგნოზო ბიუჯეტი და პროგრამის ჭრილში საპროგნოზო ბიუჯეტი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გვანცა პაკატილოვმა, დამატებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო საპროგნოზო ბიუჯეტი და ექსპერტთა მხრიდან დეტალურად იქნა შესწავლილი.

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძე, დაინტერესდა საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა თუ აქვს დაწესებულებას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, გვანცა პაკატილოვმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა - eFlow.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ენ დი აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს ენ დი აკადემიას (ს/კ: 443876548) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი **(დანართი 3).**

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს ენ დი აკადემიაში მე-5 სტანდარტის 5.1. კომპონენტში (5.1.1.4 ინდიკატორი - შენობა-ნაგებობის აღჭურვა ცენტრალური გათბობის სისტემით) 5.1.2.1 ინდიკატორი - უსაფრთხოების ზომები - სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა, 5.1.4 ინდიკატორი - ვიდეო კამერების მოწყობა შიდა და გარე პერიმეტრზე) და მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, ხოლო მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 24 აგვისტო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ჩხარტიშვილი ხათუნა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. N50
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ენერგომენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ანა პოლიტკოვსკაიას N14, მე-4 სართული, თბილისი, 0186, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია განახლებადი ენერგიების მენეჯმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ანა პოლიტკოვსკაიას N14, მე-4 სართული, თბილისი, 0186, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ანა პოლიტკოვსკაიას N14, მე-4 სართული, თბილისი, 0186, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დავით სარაჯიშვილის N35ა.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	240
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150